BPN
Business Professionals Network

ძლიერი მეწარმეობა საქართველოში

BPN-ის პროგრამა მხარს უჭერს სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში

www.bpngeorgia.ge

ვინ ვართ ჩვენ

BPN-ი არის ბიზნეს პროფესიონალთა საერთაშორისო ქსელი. ჩვენი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დაძლევა. ჩვენ ვასწავლით, ვეხმარებით ნიჭიერ ხელოსნებს და მცირე მეწარმეებს, რომ გახდნენ პროფესიონალები, წარმატებული მეწარმეები და თავიანთი პროდუქციითა და მომსახურებით ადგილი დაიმკვიდრონ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.



ქოუჩინგი

BPN-ი მეწარმეებს სთავაზობს პროფესიულ მხარდაჭერას ბიზნესის მართვის საკითხებში. ჩვენი ქოუჩინგი გულისხმობს თანადგომას ბიზნეს და ფინანსური გეგმის შედგენის დროს და ასევე შემდგომ კონსულტაციებს მათი პრაქტიკაში გამოყენების პროცესში. ჩვენი სპეციალისტები დაგეხმარებიან, გაერკვეთ ძირითად საწარმოო საკითხებში და ასევე გასწავლიან, წარმატებულად როგორ გაუმკლავდეთ კრიზისულ სიტუაციებს. ისინი თავიანთი თანადგომით გაამხნევებენ მეწარმეებს და ასწავლიან, როგორ იმუშაონ პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად.

ბიზნეს აკადემია

პროგრამის მონაწილეები გაეცნობიან ბიზნესის მართვის საფუძვლებს. 2-4 წლის განმავლობაში მათ საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ოთხ საბაზისო სემინარში, რომლებიც პრაქტიკაზეა ორიენტირებული. სემინარებზე მიღებული ცოდნის გამოყენება მარტივია და წარმატებული საქმიანობის შესაძლებლობას იძლევა. მომდევნო გვერდზე მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ სემინარების მოკლე მიმოხილვა. მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი სემინარებისა და ვორქშოფების ჩატარება.

ბიზნესის მართვა სემინარზე მეწარმე ეზიარება ბიზნესის მართვის უმთავრეს პრინციპებს და ისწავლის მათ გამოყენებას. ამ სემინარში საქმე გვაქვს ბიზნეს-გეგმასთან, ვსწავლობთ მასზე მუშაობას. სემინარის ასევე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სენსიბილიზაცია ბიზნეს ეთიკაში.	**ფინანსური მენეჯმენტი** ამ სემინარში მეწარმე სწავლობს უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას. ნაჩვე-ნები იქნება, გეგმისა და ღირებულებების საშუა-ლებით საკუთარი საწარმოს ოპტიმიზაციის შესა-ძლებლობები. შევიმუშავებთ ინდივიდუალურ ბიზნესის მართვის სისტემას.
მარკეტინგი სემინარზე ვნახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოთხოვნილებები, რომ სწორედ მათ უნდა შევუსაბამოთ წარმოება და მომსახურება. განვიხილავთ მარკეტინგის ინსტრუმენტებს და შევადგენთ მარკეტინგის ინდივიდუალურ გეგმას.	**ლიდერობა** თანამშრომლების სწორად მართვა წარმატების წინაპირობაა. სემინარი გვაჩვენებს, როგორ უნდა ვიმუშაოთ თანამშრომლებთან კონსტრუქტიულად, როგორ უნდა აღმოვაჩინოთ მათი პოტენციალი და ხელი შევუწყოთ მათ პროფესიულ განვითარებას.

კრედიტები

მკაფიო კრიტერიუმებით შერჩეულ მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ კრედიტით, რომელიც მათ აღჭურვილობისა და ინფრასტრუქ-ტურის შესაძენად სჭირდებათ. ჩვენი მხარდაჭერით სარგებლობენ ყველა სახის მწარმოებელი კომპა-ნიები, მომსახურების სფეროს წარმომადგენლები, ასევე საწარმოები (გარდა ფერმერული საქმი-ანობისა), რომლებიც სოფლის მეურნეობის პრო-დუქტებზე მუშაობენ.

მეწარმეთა საკრედიტო მხარდაჭერის მიმართუ-ლებით დაგეგმილია ადგილობრივ პარტნიო-რებთან თანამშრომლობა.

მეწარმეთა კავშირი

BPN-ის მეწარმეთა კავშირი არის პლატფორმა, რომელიც მეწარმეებს საშუალებას აძლევს აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთო ინტერე-სებისათვის ბრძოლის საქმეში, ჰქონდეთ საერთო მიზანი - მიაღწიონ საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან ამ ინტერესთა ხელშეწყობას. კავშირი ასევე კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მეწარმეებმა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა - გამოცდილება. ამ კავშირის არსებობა და მისი წარმატება მჭიდრო კავშირშია ჩვენი პროგრამის მონაწილეთა ინიციატივებსა და მათ აქტიურ საქმიანობასთან.

BPN-ის შემოთავაზებები

არსებობს BPN-ის პროგრამაში მონაწილეობის ორი შესაძლებლობა:

1. პროგრამაში მონაწილეობა საკრედიტო მხარდაჭერით
2. პროგრამაში მონაწილეობა საკრედიტო მხარდაჭერის გარეშე

ორივე შემთხვევაში იდება ხელშეკრულება, ორივე შემთხვევა გულისხმობს სწავლებას, მეწარმის მხარდაჭერას მისი საქმიანობის განვითარების პროცესში. პირველ შემთხვევაში მონაწილე სამართლიანი პირობებით იღებს კრედიტს, რომლის ინვესტირებაც ხდება მისსავე საწარმოში.

როგორ მივიღო BPN-ის პროგრამაში მონაწილეობა?

დაინტერესებული მეწარმეები პირველ რიგში აკეთებენ განაცხადს, რომლის დადებითად შეფასების შემთხვევაში მეწარმე გაივლის ბიზნეს გეგმასა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ ვორქშოფს. სამუშაო შეხვედრების დროს მეწარმე BPN-ის სპეციფიკის გათვალისწინებით ადგენს ბიზნეს გეგმას. ამ დროს მას ასწავლის და მხარში უდგას BPN-ის გუნდი. ამის შემდეგ შვეიცარიელი პროექტის ხელმძღვანელი ჩაატარებს ქოუჩინგსა და სასელექციო გასაუბრებას. კანდიდატებს მეწარმის პოტენციალით, რომელთაც სურთ საკუთარი თავის ინვესტიცია და წარმატებული მუშაობა იმისათვის, რომ განავითარონ საკუთარი საქმიანობა, რეკომენდაცია გაეწევათ პროგრამის ხელმძღვანელობასთან შვეიცარიაში, სადაც წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდება გადაწყვეტილების მიღება კანდიდატის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენი მისამართი:

BPN Georgia
გ. ახვლედიანის ქ. 5
0108 **თბილისი**
032 2 92 20 26, 599 87 93 41
info@bpngeorgia.ge

ინფორმაცია: www.bpngeorgia.ge